



2. ფაღიაშვილის ქ. ქ.ქუთაისი, ტელ.: 0(431) 241470, 211141, 250483 5(77)442224, [www.rionity.com](http://www.rionity.com), [www.radio.rionity.com](http://www.radio.rionity.com), E-mail:[rionity@rionity.com](mailto:rionity@rionity.com).  
რეგისტრირებულია ქ.ქუთაისის სასამართლოს მიერ 10.05.1995წ. რეგ. #12/4-10, ს.კ. 212678093, საწესდებო კაპიტალი 2200 ლარი. გენ. დირექტორი თ.ღვინაძე

# 14 - 22

28 აპრილი, 2022 წ.

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის

### თავმჯდომარეს ბატონ კახი ბექაურს

#### შპს ტელე-რადიო კომპანია „რიონის“ 2021 წლის ანგარიში

შპს ტელე-რადიო კომპანია „რიონი“ საანგარიშო 2021 წელს თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კანონებით მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით.

ტკ „რიონი“ მოთხოვნისამებრ გადავიდა ციფრულ მაუწყებლობაზე (37-ე დეციმეტრული დიაპაზონი) 600 ვტ-ის სიმძლავრის გადამცემის გამოყენებით. სამაუწყებლო არეალია ქუთაისი და მიმდებარე რაიონები. მოდიფიცირებული ლიცენზიით - მთელი საქართველო, თანამგზავრული მაუწყებლობა - მაგთისატი, საკაბელო ქსელები: სილქტვ, ტვ7, გლობალტვ, დიჯიტალტვ, მაგთის IPTV, ახალი ქსელების, ქუთაისისა და თბილისის საკაბელო ქსელებში და სხვ. 2017 წლის ივნისიდან ტკ „რიონი“ ჩართულია ამერიკისა და კანადის საკაბელო ქსელში (MATVILI).

ტკ „რიონის“ გადაცემები გარდა [myvideo.ge](http://myvideo.ge)-ისა ვრცელდება შემდეგი ინტერნეტსაიტებით: [rionity.com](http://rionity.com) (Live), [internettv.ge](http://internettv.ge) [zagranica.by](http://zagranica.by), [navi.ge](http://navi.ge) და სხვ.

რადიო „რიონი“ სიხშირეზე (FM 105,5) თავის პროგრამებს (5 საავტორო პროგრამა), მათ შორის დღის ამბებს ავრცელებს ქუთაისსა და მიმდებარე რაიონებში. მაუწყებლობს ინტერნეტითაც, ფეისბუქის ოფიციალურ გვერდსა და ვებგვერდზე [radio.rionitv.com](http://radio.rionitv.com)

მიმდინარე წლის თებერვალში „რიონის“ სერვერებზე განხორციელდა ჰაკერული თავდასხმა, რამაც გაანადგურა რამდენი წლის საარქივო მასალები, მათ შორის 2021 წლის არქივიც. ფაქტის შესახებ გაცნობეთ წერილობით (#3 23.02.2022) და მივმართეთ სათანადო ორგანოებს.

როგორც სატელევიზიო, ისე რადიო პროგრამები არქივდება.

2021 წელს ტელე-რადიო კომპანია „რიონის“ შემოსავალმა შეადგინა 339626 (სამაც ოცდაცხრამეტი ათას ექვსას ოცდაექვსი) ლარი დღგ-ს გარეშე.

2021 წელს სახელფასო ფონდში დარიცხულია 286709 (ორას ოთხოცდაექვსი ათას შვიდას ცხრა) ლარი, აქედან ტრანსპორტირებაში - 15000 (თოთხმეტი ათასი)ლარი.

ძირითადი საშუალებების საბოლოო საბალანსო ღირებულებაა 55313 (ორმოცდათხუთმეტი ათას სამას ცამეტი) ლარი. ადმინისტრაციული, კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები - 59700 (ორმოცდაცხრამეტი ათას შვიდასი) ლარი. ბიუჯეტში გადახდილია 92 234 ლარი (ოთხმოცდათორმეტი ათას ორას ოცდათოთხმეტი).

2021 წელს ტელეკომპანიაში მუშაობდა 35 თანამშრომელი. საშუალო ხელფასი შეადგენდა თვეში 603 ლარს.

საანგარიშო პერიოდი წამგებიანი იყო. წაგებამ შეადგინა 1407 (ათას ოთხას შვიდი) ლარი. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ აუდიტის დასკვნაში).

2021 წელი მძიმე იყო ეკონომიკური თვალსაზრისით. შემცირდა სარეკლამო დაკვეთები. ადგილობრივი ბიზნესი ნაკლებად სარგებლობდა სარეკლამო მომსახურებით, ხოლო დედაქალაქიდან რეკლამები შემოდიოდა სარეკლამო სააგენტოების გავლით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა ტელე-რადიო კომპანიის შემოსავალს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ღარის გაუფასურებამ საგრძნობლად გააიფავა რეკლამა. ნაკლებად შემოვიდა თანხები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, რამაც ბუნებრივია, შეამცირა შემოსავალი.

სამაუწყებლო ბადეები ონლაინ რეჟიმში ქვეყნდებოდა საქართველოს კომუნიკაციის ეროვნულ კომისიის მიერ მითითებულ გვერდზე, ასევე ეგზავნებოდა ყველა იმ ოპერატორს, რომელშიაც ჩართულია „რიონის“ მაუწყებლობა; „რიონი“ მაუწყებლობს ლიცენზირებული პროდუქციით, სამაუწყებლო ბადესთან ერთად კომუნიკაციების კომისიაში ვაგზავნიდით საავტორო უფლებების მქონე პირების ხელშეკრულებებსა და თანხმობის წერილებს, ხელშეკრულებას ავტორთა საზოგადოებასთან.

მაყურებელს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს ჩვენს პროგრამულ ბადეს, რომელიც ქვეყნდება ვებ-გვერდებზეც: [rionitv.com](http://rionitv.com), [radio.rionitv.com](http://radio.rionitv.com)

ტელეკომპანია „რიონში“ საანგარიშო პერიოდში მომზადდა 9 (ცხრა) საავტორო პროგრამა -გასართობი-შემეცნებითი გადაცემა – „ჩვენი დღე“; საავტორო პროგრამები „კოლაჟი“ და „კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის (საია) „საუბარი მოძღვართან“; ტოქ-შოუები, „დიალოგი“, „პოლიტიკური რუკა“; „ეს ქვეყანა შენია“; საბავშვო ტელეჟურნალი „რიონულა“, და, რაც მთავარია, „დღის ამბები“ - 09:00 საათიდან 23:15 საათამდე (დღეში 6-ჯერ).

„რიონის“ ეთერში სისტემატურად გადიოდა რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსის მიერ მომზადებული საერთო პროდუქტი „სათვალე“ „აგროსიახლეები“ „გლობალ 3000“, „სხვა მხარე“; „უნივერსია“; დოიჩე ველეს გადაცემები: „კარგ ფორმაში“, „არტ21“, „თუმოროუ“, „ევრომაქსი“ და სხვ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საანგარიშო პერიოდში ჩვენთან თანამშრომლობით დაინტერესდა ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებმაც თავიანთი საგრანტო პროექტებით გათვალისწინებული ტოქ-შოუები განახორციელეს ტელეკომპანია „რიონში“. მათ შორის აღსანიშნავია: ფონდი „სოხუმი“, „საია“, ქალები რეგიონების განვითარებისათვის, სამართლიანი არჩევნები, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო და სხვ.

ტელე-რადიო კომპანია „რიონში“ გავიდა არაერთი სოციალური რგოლი. შესრულდა სამი საგრანტო პროექტი. ორი COVID -19 - თან დაკავშირებით, ხოლო ერთი ევროკავშირის ფარგლებში. ნედის პროექტი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მონაწილეობით.

2021 წლის ფორმების არასრულყოფილი შევსებისათვის მივიღეთ კომისიის წერილობითი გაფრთხილება.

წარმატებით მუშაობს საბავშვო-სატელევიზიო სტუდია „რიონულა“, რომელიც პერიოდულად ამზადებს ტელეჟურნალს „რიონულა“ და სხვადასხვა მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებულ საბავშვო გადაცემებს.

მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-14 მუხლისა და ქცევის კოდექსის შესაბამისად თვითრეგულირების მექანიზმში - დავებისა და სააპელაციო საბჭოებში, რომელიც შექმნილია და ფუნქციონირებს რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსში, საანგარიშო წლის მანძილზე „რიონის“ შესახებ არც ერთი საჩივარი არ შემოსულა.

რადიო „რიონი“ სიხშირეზე (FM 105,5) თავის პროგრამებს ავრცელებს ქუთაისსა და მიმდებარე რაიონებში. მაუწყებლობს ინტერნეტითაც, ფეისბუქის ოფიციალურ გვერდსა და ვებგვერდზე [radio.rionitv.com](http://radio.rionitv.com). ქართულ ჰიტებთან ერთად გადაიცემოდა 4 საერთო პროგრამა: „დღის ამბები“, „კოლაჟი“, „კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის საიასთან ერთად“, ტოკ-შოუ „პოლიტიკური რუკა“; საინფორმაციო სამსახური მსმენელებს დღეში 4-ჯერ აწვდიდა სიახლეებს.

რადიო „რიონის“ ეთერში სისტემატურად გადიოდა რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსის მიერ მომზადებული საერთო პროდუქტი „სათვალე“ და „აგროსიახლეები“.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისას „რიონმა“ გამართა საკუთარი მუქსი, რომელშიაც „რიონიI“-ის გარდა ჩაისვა ავტორიზებული პირი „რიონი2“, მაუწყებელთა ალიანსის არხი „აგროგარემო“ და კომუნიკაციების კომისიის მიერ დადგენილი თანხით ხონის - ტკ „მეგატვ“.

შპს ტელე-რადიო კომპანია „რიონი“ 1989 წელს დაარსებული კომერციული ტელევიზიის სამართალმემკვიდრეა, მისი დამფუძნებელია ბადრი კაპეტივაძე. 2002 წლის 15 აგვისტოდან ტელეკომპანია „რიონის“ გენერალური დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელია თამარ ღვინიაძე, რომელიც მაუწყებლობის სფეროში არ ფლობს სხვა ლიცენზიას, არც ბეჭდვით გამოცემას, არც საინფორმაციო საგენტოს, არანაირი წილი არ გააჩნია სხვა საწარმოში. ასევე არ ფლობენ სხვა ლიცენზიებსა და წილებს მისი ოჯახის წევრები. მარეგულირებელი კომისიის მოთხოვნის შესაბამისად, ტელე-რადიო კომპანია „რიონის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია შესაბამისობის დეკლარაცია, 2021 წლის ანგარიში და აუდიტის დასკვნა.

ანგარიშს თან ერთვის აუდიტორული დასკვნა 15 ფურცელზე.

შპს ტ/რ კომპანია „რიონი“-ს

გენერალური დირექტორი

თამარ ღვინიაძე